

ექატერინე გამახარია

ადგილობრივი ხელისუფლება და

გენდერი

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის
მონიტორინგი და გენდერული ანალიზი

წამბშინოე სხვ. მკვლევარო



კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“
ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია

ეკატერინე გამახარია

ადგილობრივი ხელისუფლება და ბენდერი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების
საქმიანობის მონიტორინგი და ბენდერული ანალიზი

სახელმძღვანელო მომზადდა კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმის“ მიერ პროექტის „იგუ ქალების ადგილობრივ
საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა მათი ადგილობრივი
ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგში
ჩართვით“ ფარგლებში, საქართველოში ამერიკის შეერთებული
შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

ქუთაისი
2010 წლის ნოემბერი

შინაარსი

შესავალი 3

ნაწილი I. მოქალაქეთა მონაწილეობა

ადგილობრივი ხელისუფლებაში 6

- 1.1. ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები 7
- 1.2. ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადანყვეტაში მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფა 11
- 1.3. სამოქალაქო კონტროლი 12

ნაწილი II. მონიტორინგი 15

- 2.1. მონიტორინგის არსი და მისი მნიშვნელობა 16
- 2.2. მონიტორინგის დაგეგმვა 19
- 2.3. ინფორმაციის შეგროვების განსხვავებული მეთოდები და მათი დახასიათება 25
- 2.4. ინფორმაციის ანალიზი 34

ნაწილი III. გენდერული ანალიზი 36

- 3.1 გენდერული ანალიზის ცნება 36
- 3.2 როგორ ჩავატაროთ გენდერული ანალიზი 39
- 3.3 პრაქტიკული სავარჯიშოები 45

გამოყენებული ლიტერატურა 63

კრებულში გამოხატული შეხედულებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შეხედულებებს

ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვის დემოკრატიული სისტემის ნაწილია. ის დამოუკიდებლად გადაწყვეტს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს, უზრუნველყოფს მოსახლეობის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესებს და აგვარებს მოქალაქეთა სოციალური დაცვის ამოცანებს.

ადგილობრივი თვითმმართველობა თავისი არსით უნიკალურია: ადგილობრივი ხელისუფლება წარმოადგენს საზოგადოებას - მოსახლეობის მიერ არჩეული ადგილობრივი ერთეულის წევრების მეშვეობით, მისი საქმიანობა კი უნდა ასახავდეს ადგილობრივი თემის - როგორც ქალების, ასევე კაცების სპეციფიკურ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. მოქალაქეებს, თავის მხრივ, უფლება აქვთ, აქტიურად ჩაერთონ თვითმმართველობის პროცესში ადგილობრივი დონის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული პროგრამებისა და პროექტების შემუშავებისა და განხილვის გზით და გააკონტროლონ მათი შესრულება.

მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ქალებსა და კაცებს ზოგჯერ განსხვავებული მოთხოვნილებები და საჭიროებები გააჩნიათ საზოგადოებრივ და საოჯახო მეურნეობის დონეზე. განსხვავებულია მათზე არსებული პოლიტიკის გავლენაც. თანაბარი უფლებები და მოვალეობები არ გულისხმობს სქესთა შორის განსხვავების ნაშლას და ყველას მიმართ ერთგვაროვან დამოკიდებულებას, გენდერული თავისებურებების გათვალისწინების გარეშე.

აღნიშნულმა მიდგომამ შეიძლება არასასურველი გავლენა იქონიოს ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებაზე. ის არ იქნება მიმართული მოსახლეობის დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და სოციალური უფლებების დაცვისაკენ. ამიტომაც სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები, როგორც

ცენტრალურ, ისევე ადგილობრივ დონეზე, სახელმწიფო თუ ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებისას გენდერული თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მოქმედებდნენ. ეს კი გულისხმობს, რომ იმ სფეროში, სადაც არსებობს გავლენა გენდერზე, აუცილებელია შესაბამისი ქმედებები მოსახლეობის გენდერული განსხვავებისა და საჭიროებების გათვალისწინებით (მაგ. მუნიციპალური სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ორგანიზება, შენახვა და განვითარება; ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ბავშვების თავშესაფრების გახსნა და შენახვა; ქალებისა და ბავშვების გადაადგილებისათვის მოსახერხებელი საჯარო და კომერციული ტრანსპორტის ორგანიზება და ა.შ.).

მოცემული სახელმძღვანელო წარმოადგენს დამხმარე ინსტრუმენტს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობისა და პროგრამების მონიტორინგის ჩასატარებლად. მისი თავისებურება ისაა, რომ მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები მიმართული იქნება ადგილობრივი ორგანოების პროგრამებსა და საქმიანობაში გენდერული მიდგომების გამოსავლენად, რადგანაც ქალებსა და კაცებზე არსებული პოლიტიკის გავლენის შეფასება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მონიტორინგი გენდერულ თავისებურებებს ითვალისწინებს.

სახელმძღვანელო სასარგებლო ინსტრუმენტი იქნება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის, თვით ადგილობრივი ხელისუფლების მუშაკთათვის, ასევე, ნებისმიერი პირისათვის, ვისაც სურს ცოდნის გაღრმავება მონიტორინგისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პოლიტიკის გენდერული ანალიზის საკითხებში.

სახელმძღვანელო სამი ნაწილისგან შედგება:

პირველი ნაწილი ეძღვნება მოქალაქეთა მონაწილეობას თვითმმართველობაში. მასში წარმოდგენილია ძირითადი

ცნებები ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და მისი განხორციელების ძირითადი პრინციპები. მოცემულია მოსახლეობის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის ფორმები. ცალკე ყურადღება ეთმობა სამოქალაქო კონტროლს, როგორც ხალხის მმართველობის ერთ-ერთ ფორმას.

მეორე ნაწილი მკითხველს სთავაზობს ინფორმაციას მონიტორინგის შესახებ. მასში მოყვანილია მონიტორინგის განსაზღვრება, მისი ჩატარების მნიშვნელობა. დეტალურად არის განხილული მისი განხორციელების მექანიზმები და მეთოდები.

მესამე ნაწილი განსაზღვრავს გენდერის, გენდერული თანასწორობისა და გენდერული სამართლიანობის არსს. მკითხველს სთავაზობს გენდერული ანალიზის არსში გარკვევას და განმარტავს, თუ რა სარგებელი მოაქვს მის განხორციელებას. მოცემულ ნაწილში განხილულია გენდერული ანალიზის ჩატარების ტექნოლოგია და წარმოდგენილია სავარჯიშოები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოცემული მეთოდოლოგიის პრაქტიკული გამოყენების უნარების გამომუშავებას.

ნანილი I

მოქალაქეთა მონაწილეობა

ადგილობრივ თვითმმართველობაში

მოქალაქეთა მონაწილეობა ქვეყნისა და სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დემოკრატიის თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. სამოქალაქო მონაწილეობა უდევს საფუძვლად თვითმმართველობასაც.

საერთაშორისო პრაქტიკაში სამოქალაქო მონაწილეობის განსხვავებული ფორმები და მექანიზმები არსებობს – როგორც საკანონმდებლო, ასევე ტრადიციულ და საზოგადოებრივ-კულტურულ დონეზე. თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის ეფექტურობა სწორედ ამ მექანიზმების შეთანხმებულ მუშაობას ემყარება.

საქართველოსათვის, რომელიც დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ზღურბლზე დგას, განუზომელ მნიშვნელობას იძენს სამოქალაქო მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში. მნიშვნელოვანია იმ მექანიზმების მაქსიმალური ამოქმედება და რეალიზება, რომელთაც ძალუძთ მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოებს შორის ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, შეუძლიათ, გააუმჯობესონ ანგარიშგების დონე, საჯაროობა, ადგილობრივ ხელისუფალთა მუშაობის გამჭვირვალობის ხარისხი და გაააქტიურონ მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში.

1.1. ადგილობრივი თვითმმართველობის სწავლა და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები

ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც ნებისმიერი დემოკრატიული წყობის საფუძველია, წარმოადგენს ხალხის ხელისუფლების გამოხატულებას, უზრუნველყოფს მის დაახლოებას მოსახლეობასთან. ორგანიზაციის დემოკრატიული სანყისის დამკვიდრებითა და ადგილობრივ დონეზე ხელისუფლების განხორციელებით ადგილობრივი თვითმმართველობა ამყარებს სახალხო მმართველობის საფუძვლებს.

ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოანესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.¹

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითად პრინციპებს წარმოადგენს: საქართველოს მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში; მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; მათი საქმიანობის საჯაროობა; ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე; დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა საკუთარი ფუნქციების განხორციელებაზე; ფინანსურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობა; დამოუკიდებლობა კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში და ა. შ.²

8

ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ნუსხაში შედის ის საკითხებიც, რომლებიც მუნიციპალური წარმონაქმნის მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფას ეხება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ საკითხთა წრე, რო-

1 საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, მუხლი 1 (ა), 2006

2 საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, მუხლი 5, 2006

მელთა გადანყვეტა მოცემულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნას უწყობს ხელს. პრობლემები, რომლებთან შეხებაც ყოველდღე აქვს მოსახლეობას: წყლის გაუთვალისწინებელი გათიშვა, თავდია ლუქი სადარბაზოს წინ, საბავშვო მოედნის არქონა, მოუწესრიგებელი მოძრაობა ქუჩებში, ბზარი სახლის კედელში, ნაგვის გროვები ქუჩაში, - ამ და ბევრი სხვა ყოველდღიური საკითხის გადაჭრა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ხდება. საქართველოს ორგანულ კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ (მუხლი 16, პუნქტი 2) მოცემულია საკითხთა ჩამონათვალი, რომელთა გადანყვეტა ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებაში შედის და რაც მოყვანილია ქვემოთ:

ა) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება;

ბ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში;

გ) ინვესტირების მიმართულებების, საკუთარი, აგრეთვე ერთობლივი მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრა და თვითმმართველ ერთეულში ინვესტიციების ხელშეწყობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ხელშეკრულების დამტკიცება ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით სხვა თვითმმართველ ერთეულთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ;

დ) ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;

ე) დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება;

ვ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა; თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წე-

სების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით კანონით განსაზღვრული იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

თ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა და განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ი) მიწათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონები) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;

კ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა;

ლ) მშენებლობის ნებართვის გაცემა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობა კანონით დადგენილი წესით;

მ) ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით: მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურებისა და ადგილობრივი გადაზიდვების წესების, ტრანსპორტის მარშრუტებისა და გრაფიკების განსაზღვრა და შესაბამისი ნებართვების გაცემა;

ნ) გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;

10

ო) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

პ) ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრა და პარკირების წესების დადგენა; დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, გარე განათება, სანიაღვრე მეურნეობის, კანალიზაციის, ნაგავსაყრელების მოწყობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპა-

ლური შესყიდვის ორგანიზება; სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

ჟ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება, შესაბამისი პროგრამების დამტკიცება, პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება;

რ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;

ს) თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრა; მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დამტკიცება;

ტ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ორგანიზება;

უ) მუნიციპალური არქივის შექმნა და საარქივო მომსახურების ტარიფების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ფ) სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით შექმნა და მათი წესდებების დამტკიცება;

ქ) თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების შემუშავება და დამტკიცება;

ლ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (აღამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობის რისკფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და ამის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება;

ყ) თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო ღონისძიებების უზრუნველყოფა;

შ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარება;

ჩ) შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ც) ადგილობრივი შესყიდვების განხორციელება;

ძ) ქუჩებისა და მოედნების სახელდება და ნუმერაცია.

1.2. ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფა

12 საქართველოს კანონმდებლობაში გამოიყოფა ადგილობრივ თვითმმართველობაზე მოსახლეობის უფლებების რეალიზების შემდეგი შესაძლებლობები:

- აირჩიონ და არჩეულ იქნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში;

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა;

- მიიღონ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან და თანამდებობის პირებისგან;

- წინასწარ გაეცნონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებების პროექტებს; მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში; მოითხოვონ გადაწყვეტილებათა პროექტების გამოქვეყნება და საჯარო განხილვა;

- მიმართონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და თანამდებობის პირებს.³

- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ სამი პროცენტის მოთხოვნით მონვეული იქნას რიგგარეშე სხდომები⁴ (თბილისში რიგგარეშე სხდომის მოსაწვევად აუცილებელია 10 000 ამომრჩევლის მოთხოვნა).

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და პასუხისმგებელი პირები, თავის მხრივ, ვალდებული არიან, წარმოუდგინონ მოსახლეობას ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

1.3. სამოქალაქო კონტროლი⁵

„სამოქალაქო კონტროლი - სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ ფუნქციათაგანია, რომელიც გამოიხატება სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლების საქმიანობაში გამოცხადებული მიზნების შესაბამისობის საჯარო შემოწმებაში მოქალაქეებისა და მათი გაერთიანების მიერ და ამ საქმიანობისა და მიზნების კორექტირებისაკენ არის მიმართული. სამოქალაქო საზოგადოების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის მექანიზმი წარმოადგენს ხალხის ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთ ფორმას, პიროვ-

³ საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, თავი 2, მუხლი 2, 2006

⁴ საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, თავი 24, მუხლი 2 (დ), 2006

⁵ ვავილინა ვ. ვ., სამოქალაქო საზოგადოება და სამოქალაქო ექსპერტიზა - როსტოვი დონზე, 2010, „სამოქალაქო კონტროლი“, გვ. 101-103

ნების უფლებებისა და თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფის ინსტრუმენტს, რომელიც გამოხატულია სამართლებრივ-პოლიტიკური სისტემის ჩარჩოში ცალკეული ინდივიდების, მათი კოლექტიური გაერთიანებების საქმიანობაში, სახელმწიფო მონაწილის მექანიზმის გამოყენებით. სამოქალაქო კონტროლი წარმოადგენს სამოქალაქო აქტივობის უმაღლეს გამოვლინებას. თუ პოლიტიკურ კონტროლს ხელისუფლებაზე ახორციელებს თვითონ ხელისუფლება და პოლიტიკური ოპოზიცია, რომელსაც აქვს მიზანი, თვითონ გახდეს ხელისუფლება, სამოქალაქო კონტროლის მიზანი არ არის არსებული ხელისუფლების შევიწროება, არამედ ის წარმოადგენს მოქალაქეთა თვითშეგნების გამოხატულებას, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის კონცენტრირებულ სურვილს“.

სამოქალაქო კონტროლი წარმოგვიდგება, როგორც სამოქალაქო მონაწილეობის ფორმა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას. სამოქალაქო კონტროლის ფუნქციებია:

- მოქალაქეთა სტიმულირება საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- საზოგადოების ყველა სექტორის წარმომადგენელთა სამოქალაქო აქტიურობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება;
- დემოკრატიული პროცესების განვითარება.

14

„სამოქალაქო კონტროლის განმასხვავებელი ნიშნები:

- სამოქალაქო კონტროლი წარმოადგენს დაგეგმილ ღონისძიებათა სერიას, მიმართულს „დახურული“, ფართო საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელი ინფორმაციის მიღებაზე;
- შესაგროვებელი ინფორმაცია ეხება ადამიანის უფლებათა დარღვევებს, ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონის დარღვევასა და ბოროტად გამოყენებას;

- სამოქალაქო კონტროლის საბოლოო მიზანს პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტა წარმოადგენს;

- სამოქალაქო კონტროლი ეხება ხელისუფლების ორგანოების, ან კომპანია-მონოპოლისტის (რომელსაც ჰყავს მასობრივი მომხმარებელი) პასუხისმგებლობის სფეროს“.

ამიტომ სამოქალაქო კონტროლის მნიშვნელოვანი შემადგენელია სამოქალაქო ჯგუფებისა და ცალკეული მოქალაქეების ჩართვა კვლევით საქმიანობაში, ნდობის ამაღლება საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისადმი, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში იყენებენ სამოქალაქო კონტროლის ფორმებს.

სამოქალაქო კონტროლის მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანიზაციებისა და დანესებულებების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას; მოცემული ორგანოებისა და ორგანიზაციების, მათი პასუხისმგებელი პირების მიერ საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმებისა და კანონების დაცვის უზრუნველყოფას სახელმწიფო და მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაციის პროცესში, ასევე სხვა ორგანიზაციების, მათი პასუხისმგებელი პირებისა და მოქალაქეების მიერ თავიანთი საქმიანობის წარმართვაში.

სამოქალაქო კონტროლი ხორციელდება რამდენიმე ძირითადი ფორმით: მონიტორინგი, კვლევა, გამოძიება, სამოქალაქო ექსპერტიზა. არსებობს სხვა ფორმებიც.

თუ წარმოვიდგენთ სამყაროს, სადაც ყველა მოქალაქე მზადაა, დაეხმაროს საკუთარ ხელისუფლებას სიღარიბესთან ბრძოლაში; სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში, სადაც ისინი აქტიურად აკვირდებიან ხელისუფლების საქმიანობის პროგრესს და აკონტროლებენ სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელებას; სადაც მოსახლეობა რეგულარულად უზიარებს ხელისუფლებას თავის მოსაზრებებს მათ მიერ გაწეული მომსახურებისა და სამომავლო რეფორმების თაობაზე და ამ მოსაზრებებს სერიოზულად აღიქვამენ; სადაც არაეფექტური მუშაობის შემთხვევაში ის გადაიხედება და შეიცვლება რაიმე უკეთესით; სადაც ხელისუფლებასა და ხალხს შორის გაცნობიერებულ და კონსტრუქციულ დიალოგს მოაქვს უფრო ეფექტური, სამართლიანი და ინკლუზიური პოლიტიკა, რის შედეგადაც ყველა კარგად გრძნობს თავს.

ასეთი სასურველი სამყარო მოიაზრებს სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას, ცნობიერების გაღრმავებას სამოქალაქო მონიტორინგში და მოსახლეობის აქტიურ ჩართვას გადამწყვეტილების მიღებაში.

მოცემული ნაწილი სწორედ სამოქალაქო საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი, რათა გააცნოს მას, თუ როგორ ჩაატაროს ხელისუფლების საქმიანობისა და მის მიერ შემუშავებული პოლიტიკის მონიტორინგი, როგორ შეავროვოს ინფორმაცია და გამოიყენოს ის შემდგომი პოზიტიური ცვლილებებისათვის სახელმწიფო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა სფეროში.

2.1. მონიტორინგის არსი და მისი მნიშვნელობა⁶

მონიტორინგს ყველაზე ხშირად შემდეგნაირად განმარტავენ:

მონიტორინგი არის ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების პროცესი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს გადამწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებისთვის, ასევე, არაპირდაპირ - საზოგადოების ინფორმირებისთვის. მონიტორინგი შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც უკუკავშირის ინსტრუმენტი პროექტების განხორციელების, პროგრამების შეფასებისა თუ გარკვეული პოლიტიკის შემუშავებისას.⁷

სამოქალაქო მონიტორინგი არის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა თუ საინიციატივო ჯგუფების მიერ ინფორმაციის მუდმივი, სისტემატიური შეგროვება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის თაობაზე.

სამოქალაქო მონიტორინგის ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ინფორმაციის მისაწვდომობაზე და უწყებისა თუ დაწესებულების ინფორმაციულ ლიაობაზე.

პოლიტიკის მონიტორინგი - არის ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის ირგვლივ ცნობების შეგროვება, რათა მიღებული შედეგები შემდგომში გამოყენებული იქ-

⁶ მონიტორინგი და შეფასება, ჯანეტ შაპირო, CIVICUS, (მსოფლიო ალიანსი სამოქალაქო მონაწილეობისათვის), იხ. <http://www.civicus.org/new/media/Monitoring%20and%20Evaluation.pdf>

⁷ მასალა ვიკიპედიიდან - თავისუფალი ენციკლოპედიიდან, იხ. <http://ru.wikipedia.org/wiki/D0%9C%D0%BE%D0%BD%D0%B8%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B8%D0%BD%D0%B3>

ნეს სამომავლო კურსზე ზემოქმედებისა და პოზიტიური ცვლილებების შესატანად.

მონიტორინგი, როგორც ნესი, ტარდება იმის შესასწავლად, რა და როგორ კეთდება და გამიზნულია, გამოავლინოს:

- ეფექტურობა;
- პროდუქტიულობა;
- გავლენის მოხდენა.

ეფექტურობა აჩვენებს, მიღწეული შედეგების თვალსაზრისით რამდენად გამართლებულია გარკვეულ საქმეში ჩადებული ძალისხმევა. მაგალითად, თუ ხორციელდება გარკვეული პროგრამა და თქვენ ზრუნავთ მის გრძელვადიანობასა და წარმატებაზე, ამ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რამდენად ეფექტური იყო მისი განხორციელება.

პროდუქტიულობა განსაზღვრავს, რა შემთხვევაში მიაღწია განვითარების პროგრამამ კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს. მაგალითად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების თავისუფალი დროის ორგანიზებისათვის ინფრასტრუქტურის შექმნა და წაახალისოს ისინი, რათა მისდიონ ჯანსაღი ცხოვრების წესს. მოცემული პროექტის მონიტორინგი შესაძლებლობას მოგვცემს, გავიგოთ, რამდენად იქნა მიზანი მიღწეული.

18

გავლენის მოხდენა გვიჩვენებს, მიღწეული იყო თუ არა ცვლილებები პრობლემურ სიტუაციაში, რომლის მიმართაც იყო გამიზნული მოქმედება. სხვა სიტყვებით, რამდენად სასარგებლოა არჩეული სტრატეგია. მაგალითად, შემცირდა თუ არა ქუჩის ხულიგნობა და საბავშვო კრიმინალი განხორციელებული პროექტის შედეგად. პროგრამის გაგრძელებამდე

უნდა დარწმუნდეთ, რომ მისმა განხორციელებამ პოზიტიური ცვლილებები მოიტანა და გავლენა იქონია იმ სიტუაციაზე, რომელსაც მოგვარება სჭირდებოდა.

რისთვის ტარდება მონიტორინგი?

მონიტორინგი განვითარების სხვადასხვა პროგრამების საბოლოო შედეგის შემოწმების საშუალებას იძლევა. არა იმას, რამდენად მომგებიანი იყო საქმე, არამედ იმას, რა ცვლილებები იქნა მიღწეული. მონიტორინგის მეშვეობით შეიძლება:

- შემომდეს განსახორციელებელი მუშაობის პროგრესი

- გამოვლინდეს სამუშაოს დაგეგმვასა ან განხორციელებაში არსებული პრობლემა

- შეტანილი იქნეს კორექტივები, რომლებიც პოზიტიურ ცვლილებებს გამოიწვევს

ბევრ ორგანიზაციაში მონიტორინგს განიხილავენ, როგორც დონორის მოთხოვნას და არა როგორც მენეჯმენტის წარმატებით განხორციელების საშუალებას. რა თქმა უნდა, დონორები დაინტერესებულნიც არიან და უფლებამოსილიც, იცოდნენ, რამდენად მიზნობრივად იხარჯება მათი ფული, მაგრამ მონიტორინგის უმთავრესი ამოცანაა, ეს იცოდნენ თვითონ იმ პირებმა, ვინც პროგრამას / პროექტს ახორციელებს: რამდენად პასუხობს მათი საქმიანობა ან დაგეგმილი ქმედება დასახულ მიზნებსა და ამოცანებს, აქვს თუ არა მას დადებითი გავლენა და შეისწავლონ, რისი გაკეთება შეიძლებოდა უკეთესად. სწორედ მონიტორინგი გვეხმარება, გამოვავლინოთ, როდის არ არის მიმდინარე ქმედებები ეფექტური.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მონიტორინგი ჯადოსნური ჯოხი არ არის, რომლის აქნევიცა პრობლემები გაქრება. მონიტორინგი ღირებული საშუალებაა, რომელიც:

- დაგვეხმარება გამოვავლინოთ პრობლემა და მისი მიზეზები;
- მოგვანოდებს ინფორმაციას და გაგვაცნობს პრობლემის არსს;
- შეუძლია, შემოგვთავაზოს პრობლემის შესაძლო გადაჭრა;
- აამაღლებს იმის ალბათობას, რომ თქვენ შეგიძლიათ პოზიტიური ცვლილებების მიღწევა.

2.2. მონიტორინგის დაბეზმვა

მონიტორინგი საშუალებას იძლევა, შეფასდეს პროგრამის ლოგიკა, მისი მოქმედება, განხორციელების გზა და, საჭიროებისამებრ, შეტანილ იქნეს კორექტივები. სწორად დაგეგმილი მონიტორინგი ნაყოფიერი მუშაობის სანინდარია. არსებობს მონიტორინგის ჩატარების გარკვეული სტრუქტურა, რომელიც გეგმის სანაცვლოდ გამოიყენება. მონიტორინგის დაწყებამდე მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების გარკვევა.

რისი ცოდნა გვსურს?

რა ტიპის ინფორმაცია გვჭირდება?

როგორ მივიღოთ ინფორმაცია?

20

რისი ცოდნა გვსურს?

კითხვა „რისი ცოდნა გვსურს?“ მჭიდროდ უკავშირდება კითხვას, რა არის, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი. ნებისმიერ საქმიანობაში კითხვა, რა არის მნიშვნელოვანი, განუხრელად უკავშირდება ჩვენს ფასეულობებს.

სამოქალაქო საზოგადოების უმეტესი ორგანიზაციების მუშაობა ფასეულობათა სისტემას ეყრდნობა. უმრავლეს შემთხვევაში, განვითარებისათვის განეული მუშაობის ძირითადი ფასეულობებია:

- უპოვართა მომსახურება
- მოსახლეობის მონყვლადი ფენების მხარდაჭერა
- საზოგადოების, და არა კონკრეტული პიროვნებების, შეცვლა
- მდგრადი განვითარებისათვის მუშაობა
- რესურსების ეფექტური გამოყენება

ამიტომაც პირველი, რაც უნდა ვიცოდეთ, ესაა: - რამდენად შეესაბამება ჩვენს ფასეულობებს ის, რაც კეთდება. ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება მონიტორინგი, რის შედეგად მოვიპოვებთ შემდეგ ინფორმაციას:

-ვისთვის მოაქვს სარგებელი განსახორციელებელ პროგრამას? რამდენად სასარგებლოა ჩასატარებელი სამუშაო?

-ბენეფიციარები მიმდინარე პროგრამის სარგებლის პასიურ მომხმარებლებს წარმოადგენენ თუ უშუალოდ არიან ჩართულნი პროცესში?

- მიმდინარე მუშაობა მდგრადი და გრძელვადიანია თუ მისი გავლენა საქმიანობის დამთავრების შემდეგ წყდება?

- მოაქვს თუ არა მიმდინარე საქმიანობას ოპტიმალური სარგებელი იმასთან შედარებით, რაც მასში იყო ჩადებული?

რა ტიპის ინფორმაცია გვჭირდება?

შეიძლება გამოვყოთ ინფორმაციის ორი ტიპი, რომელიც მონიტორინგისათვის გამოიყენება:

- რაოდენობრივი
- თვისობრივი

რაოდენობრივი მაჩვენებელი პასუხობს კითხვას „რამდენი“ და გამოიხატება ციფრობრივი ფორმით. მაგალითად, რამდენი კილომეტრის გავლა უნევთ ბავშვებს სკოლამდე, ან რამდენი საბავშვო ბაღია დასახლებულ პუნქტ „X“-ში. რაოდენობრივი მაჩვენებელი შეიძლება გამოხატული იქნეს პროცენტებში ან პროპორციებში (მაგალითად, ახალგაზრდა ქალების „X%“ არ აგრძელებს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში, ან დაბა „X“-ში 2000 მცხოვრებზე მხოლოდ ერთი ექიმი). რაოდენობრივი ინფორმაციის მიღება შეიძლება კვლევის ობიექტის დათვლით ან გაზომვით.

თვისობრივი მაჩვენებელი ასახავს, როგორი დამოკიდებულება აქვთ ადამიანებს კონკრეტული სიტუაციის მიმართ, ან როგორ შესრულდა გარკვეული საქმეები, ან როგორ იქცევიან ადამიანები. მაგალითად, თქვენ აღმოაჩინეთ, რომ სკოლის მასწავლებელთა 50% უკმაყოფილოა ხელფასით ან კადრების შერჩევის კრიტერიუმებით. მოცემულ შემთხვევაში ინფორმაცია შეიძლება მივაკუთვნოთ თვისობრივს, რადგან ის მოვლენებზე დაკვირვებისა და ინტერპრეტირების შედეგად მიიღეთ. მიიჩნევა, რომ რაოდენობრივი ინფორმაცია უფრო ზუსტი და ობიექტურია, ხოლო თვისობრივი - ნაკლებად სარწმუნო და უფრო სუბიექტური. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მცდარია ვარაუდი, თითქოს რაოდენობრივი ინფორმაცია უტყუარი და ამომწურავია. მაგალითად, ფაქტია, რომ ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში გოგონების რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში შემცირდა X პროცენტით, თუმცა ეს ინფორმაცია, თავისთავად, არ შეიძლება ჩაითვალოს ამომწურავად მანამ, სანამ ცხადი არ გახდება შემცირების მიზეზი. ამიტომ უფრო ზუსტი ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია პრობლემის მიზეზის გარკვევა, ანუ თვისობრივი ინფორმაციის შეგროვება.

ხშირად მკვლევარები უპირატესობას ანიჭებენ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული ქალიშვილების რაოდენობის გამოთვლას და ასე არკვევენ კონკრეტულ ადგილას ქალებისადმი დამოკიდებულების საკითხს. მაგრამ მონიტორინგის პროცესი უფრო ღრმა მიდგომას მოითხოვს, ანუ რაოდენობრივი და თვისობრივი ინფორმაციის კომბინაციას, რათა ამომწურავი ინფორმაცია მივიღოთ. მაგალითად - გაირკვეს არა მარტო იმ გოგონების რაოდენობა, რომელთაც ჩააბარეს უმაღლეს სასწავლებელში, არამედ იმის მიზეზიც, რატომ გააგრძელეს, ან არ გააგრძელეს მათ სწავლა.

როგორ მივიღოთ ინფორმაცია?

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ინფორმაცია, რომელსაც ვაგროვებთ, ჩვენთვის ღირებული უნდა იყოს. არ არის საჭირო ინფორმაციის შეგროვება მხოლოდ იმისათვის, რომ რაღაცით გავირთოთ თავი. ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რისი ცოდნა გვსურს.

როგორც ნესი, ინფორმაციის ნყაროდ შეიძლება გამოვიყენოთ ანგარიშები, ოქმები, ფინანსური ანგარიშები. თუმცა, ძალიან ხშირად, შეიძლება სპეციალური მეთოდების გამოყენება დაგვჭირდეს ინფორმაციის შესაგროვებლად. კერძოდ:

- ერთი რომელიმე კონკრეტული შემთხვევის ღრმა შესწავლა

- კონკრეტულ მოვლენაზე ღრმა დაკვირვება

-სტრუქტურული ზებულები კითხვარების გამოყენება

-ინდივიდუალური ინტერვიუს ჩატარება

-ფოკუს-ჯგუფის ჩატარება

-ოფიციალური სტატისტიკის სისტემატიური მიმოხილვა და ა. შ.

არსებობს მონიტორინგისათვის ინფორმაციის შეგროვების

სხვადასხვა მეთოდი. საჭიროა, სწორად შეარჩიოთ ის მეთოდი, რომელიც სხვაზე უკეთ მიესადაგება თქვენს მიზნებსა და რესურსებს. მაგალითისთვის, არ დაგეგმოთ 10 000 ადამიანის გამოკითხვა, თუ თქვენ კვლევისთვის მხოლოდ ორი კვირა და მცირე რესურსი გაქვთ. ასეთ შემთხვევაში, უკეთესია, **შერჩევითი კვლევის** მეთოდი გამოიყენოთ.

შერჩევითი კვლევა ნარმოადგენს მონაცემთა შეგროვების საშუალებას ადამიანთა ქცევისა და დამკვიდრებული წესების შესახებ სპეციალურად შერჩეული რესპონდენტების ჯგუფის გამოკითხვით, რომლებიც ინფორმაციას იძლევიან საკუთარ თავზე და საკუთარ შეხედულებებზე. თავისი სახელწოდება მან შერჩევის სპეციალური პროცედურების გამოყენების წყალობით მიიღო. ეს გულისხმობს დიდი რაოდენობიდან მცირე ნაწილის გამოკვლევას, რაც ზუსტად გამოხატავს მთლიანის ძირითად პარამეტრებს. შერჩევითი კვლევა უფრო ეკონომიურია და არანაკლებ საიმედო, ვიდრე ერთიანი.⁸

შერჩევითი კვლევის მეთოდს შეიძლება მივაკუთვნოთ:

შემთხვევითი შერჩევა - თეორიულად, შერჩევის ეს ტიპი ლატარეის ფორმით ტარდება, როცა სახელების საერთო რაოდენობიდან შემთხვევითი წესით ირჩევა და გამოიკითხება საჭირო რაოდენობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში უფრო გავრცელებული მეთოდია, როცა სიიდან ყოველი მეექვსე სახელი აირჩევა. ამ მეთოდის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ რესპონდენტების შერჩევა მიუკერძოებლად ხდება.

ტიპიური შერჩევა - მაგალითისთვის, გამოკითხვაში მონაწილეობას მიიღებს ყოველი მეშვიდე ოჯახი, რომელიც მიეკუთ-

8 ერთიანი და შერჩევითი კვლევა, იხ. <http://www.sociomethod.ru/875/330.html>

ვნება უმაღლეს კატეგორიას შემოსავლის სიდიდით, ან ყოველი მესამე, საშუალო დონის შემოსავლის მიხედვით.

ჯგუფური შერჩევა - შერჩევის მეთოდი, რომლის დროსაც შესარჩევი ერთეული წარმოადგენს არა ცალკეულ ადამიანს, არამედ გარკვეულ ჯგუფს, მაგალითად, რომელიღაც ქუჩის მცხოვრებლები მთლიანად, კონკრეტული სკოლის ან ცალკეული საგნების მასწავლებლები და ა. შ.

ბშირად გამოიყენება ისეთი მეთოდი, როგორცაა **ტრიანგულაცია**. ტრიანგულაცია (ლათინური სიტყვიდან („triangulus“ - სამკუთხედი) - არის თვისობრივ კვლევაში შემონიშნისა და ინტერპრეტაციის სანდოობის ამაღლების მეთოდი. ის გულისხმობს ერთი და იმავე შემთხვევის ან ფრაგმენტის ჯვარედინ ინტერპრეტაციას რამდენიმე, ერთმანეთის შემაჯავებელი წყაროთი. მაგალითად, რამდენიმე ადამიანს სთხოვეს ყვავილის თაიგულის აღწერა მხოლოდ საკუთარ გრძნობებზე დაყრდნობით. ყვავილების საერთო აღწერას მივიღებდით, თუ ერთ ადამიანს ვთხოვდით ყვავილების ფერის ან ტიპის აღწერას, მაგრამ ბევრად უფრო სრული სურათის მიღება შეიძლება, თუ რამდენიმე ადამიანს ვთხოვთ, აღწერონ განსხვავებული ასპექტები: სურნელი, ფურცლებისა და ფოთლების წყობა, ფორმა და ა.შ. ცალკეული შთაბეჭდილების შეკრებით შეიძლება რესპონდენტთა შთაბეჭდილებების უფრო სრული და მდიდარი სურათის მიღება.⁹

⁹ საკუთარი ბიზნესი, „ტრიანგულაცია“, იხ. <http://www.nejo.ru/triangulyaciya.html>

2.3. ინფორმაციის შებროვების სხვადასხვა მეთოდი და მათი ლახსიათება

მოცემულ ნაწილში მოყვანილია ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდი, მათი აღწერა, უპირატესობა და ნაკლი გამოყენების თვალსაზრისით.

მეთოდი	აღწერა	უპირატესობა	ნაკლი
ინტერვიუ	ინტერვიუ შეიძლება იყოს სტრუქტურირებული, ნახევრადსტრუქტურირებული ან არასტრუქტურირებული. ¹⁰ მოცემული მეთოდი გულისხმობს კონკრეტული კითხვების დასმას, რაც სიტუაციის შეფასებისათვის ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა. კითხვები შეიძლება იყოს დახურული (პასუხები დიახ / არა) ან ღია. ინტერვიუ შეიძლება გახდეს როგორც ხარისხობივი, ასევე თვისობრივი ინფორმაციის წყარო.	შეიძლება ჩაატაროს მონიტორინგში ჩართულმა ნებისმიერმა ადამიანმა. ინტერვიუ შეიძლება ავილოთ პირადად ან ტელეფონით, ელექტრონული ფოსტითაც კი. ეს არის გამოკითხვის ძალიან მოქნილი ფორმა.	ინტერვიუს ჩატარება მოითხოვს სპეციალურ ცოდნასა და უნარს.

26

¹⁰ *სტრუქტურირებული ინტერვიუ* – ინტერვიუ, რომლის დროსაც წინდაწინ განისაზღვრება რესპონდენტისათვის შეთავაზებული კითხვებისა და თემატური სფეროების თანამიმდევრობა (კითხვების ბლოკი).

ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ — შედგება თემატური ბლოკებისაგან და შეიცავს სავალდებულო ასპექტების ჩამონათვალს, რომელთან დაკავშირებითაც უნდა იქნეს მიღებული ინფორმაცია.

არასტრუქტურირებული ინტერვიუ — ინტერვიუს ნაირსახეობა, რომლის დროსაც ინტერვიუერი სვამს კითხვებს არა რიგის მიხედვით, არამედ სპონტანურად. ეს საშუალებას იძლევა, თავისუფლად ისაუბროს ინტერვიუს პროცესში წამოჭრილ თემებზე. ამგვარი გამოკითხვის მიმდინარეობა რესპონდენტისგან მიღებული პასუხებით იმართება.

<p>ინტერნული ძირითადი ინფორმაციები</p>	<p>ასეთი ინტერვიუები ტარდება გამოსაკვლევი საკითხის სპეციალისტებთან, აგრეთვე იმ ადამიანებთან, რომელთაც შეუძლიათ, შუქი მოჰფინონ ჩვენთვის საინტერესო თემებს.</p>	<p>როგორც წესი, სპეციფიკური საკითხების სფეროს სპეციალისტები და ექსპერტები არ წარმოადგენენ გარკვეული პროექტის ან პროგრამის უშუალო მონაწილეებს. გამომდინარე აქედან, მათ შეუძლიათ საკმარისად ობიექტური და საკმაოდ სასარგებლო ინფორმაცია მოგვანოდონ.</p>	
<p>კითხვარი / ანკეტა</p>	<p>ბლანკი კითხვების გარკვეული ნაკრებით, რომელზეც პასუხები უნდა გაიცეს.</p>	<p>ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ დროის ეკონომია და მოვიცვათ რესპონდენტთა მეტი რაოდენობა. კითხვარების შევსებისას (განსაკუთრებით, კონფიდენციალურის) ადამიანები უფრო გულახდილნი არიან და გრძნობენ, რომ შეუძლიათ უპასუხონ ბევრად უფრო გულახდილად, ვიდრე პირადი ინტერვიუს დროს.</p>	<p>კითხვარის დროს შეუძლებელია თემის ღრმა გახსნა. მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხვის დროს კითხვები გულმოდგინედ იყოს შერჩეული (ისინი გასაგები უნდა იყოს რესპონდენტებისათვის და არ გამოიწვიოს გაუგებრობა), რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად მოვიცვათ და გავხსნათ კვლევის თემა.</p>

<p>ფოკუს-ჯგუფები</p>	<p>გამოკითხვა ტარდება 12 მონაწილისაგან შემდგარ ჯგუფში, კარგად მომზადებული ინტერვიუერის / ფასილიტატორის მიერ, ზედმიწევნით გააზრებული და სტრუქტურირებული კითხვებით. კითხვები მიმართული უნდა იყოს კონკრეტული თემისა თუ საკითხისკენ.</p>	<p>ამ მეთოდის გამოყენება კარგია სპეციალურად შერჩეული და საკმაოდ მრავალრიცხოვან ადამიანთა ჯგუფისაგან ვრცელი ინფორმაციის მისაღებად.</p>	<p>როგორც წესი, ფოკუს-ჯგუფებში იშვიათად არის შესაძლებელი აზრთა განზოგადება. ხშირად რესპონდენტები, კითხვებზე პასუხისას, სხვა რესპონდენტების გავლენის ქვეშ ექცევიან. ინტერვიუ ფოკუს-ჯგუფში დიქტოფონზე უნდა ჩაინეროს, შემდეგ კი გაიშიფროს. ყოველივე ეს ბევრად მეტ დროს და ძალისხმევას მოითხოვს.</p>
----------------------	--	---	--

<p>შეხვედრები საზოგადოებასთან</p>	<p>მოცემული მეთოდი მოიაზრებს საუბარს საკმაოდ დიდი რაოდენობის ჯგუფთან, რომელთაც ეხება ან რომლებზეც მიმართულია კონკრეტული პროგრამა.</p>	<p>საზოგადოებასთან შეხვედრები სასარგებლო მეთოდი დიდი რაოდენობის ადამიანებისგან კონკრეტულ თემაზე ინფორმაციის შესაგროვებლად. ადამიანები ერთვებიან მონიტორინგში და მათ უჩნდებათ პროცესთან თანაზიარობის განცდა. ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ კრიტიკულ შენიშვნებს კონკრეტული პროგრამის ან პოლიტიკის ირგვლივ.</p>	<p>ასეთი შეხვედრების ფასილიტაცია ძალიან რთულია. ის ითხოვს საკმაოდ გამოცდილი და მოხერხებული ფასილიტატორის ჩართვას. ინფორმაციის მისაღებად, სავარაუდოდ, საჭირო გახდება ადამიანთა დიდი ჯგუფის დაყოფა ქვეჯგუფებად, რაც საორგანიზაციო სირთულეებთან არის დაკავშირებული.</p>
-----------------------------------	---	---	--

<p>რანჟირება</p>	<p>მოცემული მეთოდი გულისხმობს ადამიანების გამოკითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ იყო მათი აზრით, მეტად სასარგებლო, ნაკლებად სასარგებლო, ან უფრო მნიშვნელოვანი კონკრეტულ პოლიტიკასა ან პროგრამაში.</p>	<p>მოცემული გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს, როგორც ინდივიდუალური ინტერვიუს ან ანკეტირების დამატება, ან - როგორც ცალკე სესია.</p>	<p>რანჟირება შეიძლება საკმაოდ რთული მეთოდი აღმოჩნდეს, რადგან ამ დროს ადამიანებს გულდასმით უნდა აუფხსნათ, რას ველოდებით მათგან. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს ესმოდეთ, რას ითხოვენ მათგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა მონაცემი შეიძლება დამახინჯდეს.</p>
------------------	---	--	---

<p>რეიტინგული შკალა</p>	<p>ეს ტექნიკა წარმოადგენს ინფორმაციის შეგროვების სხვა მეთოდების დამატებას. ადამიანებს სთავაზობენ, სხვებს გაუზიარონ საკუთარი მოსაზრება ან დაკვირვება. თავის აზრს პიროვნება გამოხატავს შემდეგი ფორმით, “მთლიანად ვეთანხმები”, “ვეთანხმები”, “არ ვეთანხმები”, ან “არანაირად არ ვეთანხმები”.</p>	<p>ძალიან სასარგებლო ტექნიკაა ამა თუ იმ საკითხის ან პრობლემის მიმართ ადამიანების დამოკიდებულების, აზრის, ან აღქმის გამოსავლენად.</p>	<p>მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, კარგად გადმოიცეს გარკვეული მტკიცებულება, რათა დავრწმუნდეთ, რომ მას სწორად აღიქვამენ ადამიანები. მაგალითისთვის, არსებობს შემთხვევები, როცა მტკიცებულება ეხება რამდენიმე პრობლემატურ საკითხს და ამის გამო ძნელია გარკვევა იმაში, ზუსტად რომელ კითხვაზე იყო გაცემული პასუხი.</p>
-------------------------	--	--	--

<p>კრიტიკული სიტუაციების ანალიზი</p>	<p>ეს მეთოდი გულისხმობს ინტერვიუს ჩატარებას ადამიანების ჯგუფთან ან ცალკეულ ადამიანთან გარკვეული შემთხვევის დეტალების გამოსავლენად.</p>	<p>ძალიან სასარგებლოა, რადგან პრობლემატური სიტუაციის შემთხვევაში ინფორმაციის მიღება ხდება პირველწყაროდან. ეს საშუალებას იძლევა, უკეთ შეფასდეს სიტუაცია, დადგინდეს, რა არ იყო ისე, როგორც საჭიროა.</p>	<p>შესაძლებელია, რომ ინტერვიუებში ჩაიკარგონ ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციათა მორევში. ასევე ძალიან რთულია, დარჩე მიუკერძოებელი, ობიექტური და არ დაიჭიროო რომელიმე მხარე.</p>
--------------------------------------	--	---	---

<p>მონაწილეების დაკვირვება</p>	<p>მოცემული მეთოდი გულისხმობს მოვლენათა, პროცესის, მოქმედების ან ქცევის უშუალო დაკვირვებას. “მონაწილეებში“ მონაზრებიან დამკვირვებლები, რომლებიც შორიდან კი არ უყურებენ, არამედ ერთვებიან კონკრეტულ ქმედებაში.</p>	<p>ძალიან ეფექტური მეთოდია, რათა მივიღოთ ინფორმაციის დასაბუთება.</p>	<p>ძალიან ძნელია მონაწილეობა და დაკვირვება ერთდროულად, ეს მოითხოვს დიდ დროსა და ძალისხმევას.</p>
<p>ნახატი</p>	<p>მოცემულ შემთხვევაში მონაწილეებს სთავაზობენ, დახატონ თავიანთი შეგრძნებები ამა თუ იმ პრობლემისა და საკითხის ირგვლივ.</p>	<p>ძალიან ეფექტურია მისი გამოყენება ბავშვებთან.</p>	<p>ძნელია მისი ახსნა ან ინტერპრეტირება.</p>

სასარგებლო რჩევები ინტერვიუერისათვის

- ნათლად განსაზღვრეთ, რაში გამოიხატება თქვენი ინტერვიუს მიზანი
- გულმოდგინედ გადახედეთ თქვენ მიერ შერჩეულ კითხვებს. დარწმუნდით, რომ რესპონდენტი მათ სწორად გაიგებს
- დაარწმუნეთ რესპონდენტი, რომ ინტერვიუს დროს კონფიდენციალობა გარანტირებული იქნება
- წინასწარ დარწმუნდით, თანახმაა თუ არა რესპონდენტი, მისი პასუხები ჩაინეროს დიქტოფონზე ან გაკეთდეს ჩანაწერები
- ეცადეთ, რესპონდენტის პასუხები სიტყვასიტყვით ჩაინეროთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია
- ეცადეთ, იყოთ აქტიური და გააგრძელოთ საუბარი რესპონდენტთან მაშინაც კი, როცა ჩანაწერებს აკეთებთ
- ეცადეთ, თემას არ გადაუხვიოთ
- ამოწურეთ თქვენ მიერ მომზადებული კითხვების ნუსხა
- ეცადეთ, ჩაუღრმავდეთ გაურკვეველ პასუხებს და მიიღოთ მეტი ინფორმაცია
- ინტერვიუს დროს იყავით მოქნილი და ჩაინერეთ ნებისმიერი პასუხი. ისიც, რომელიც არ იყო თქვენი კითხვების ჩამონათვალში
- არც ერთ შემთხვევაში არ აწყენინოთ და არ შეურაცხყოთ რესპონდენტი
- ნუ გააწყვეტინებთ ნურც წამახალისებელი, ნურც კრიტიკული შენიშვნებით
- ნუ გააწყვეტინებთ რესპონდენტს წინადადებას შუაში
- ნუ აჩვენებთ თქვენს ემოციებს ან საკითხისადმი დამოკიდებულებას ხმის შეცვლილი ტონით ან მიმიკით

2.4. ინფორმაციის ანალიზი

მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ თქვენ სხვადასხვა ინფორმაციის ოკეანეში აღმოჩნდებით და უკვე თქვენზეა დამოკიდებული, როგორ შექმნათ ფაქტების, შეხედულებებისა და წარმოდგენების დიდი რაოდენობიდან რალაც გააზრებული, როგორ გააანალიზოთ თქვენს ხელთ აღმოჩენილი მასალა.

ანალიზი - ეს არის დეტალური ინფორმაციისთვის გასაგები ფორმის მიცემა, სწორი ინტერპრეტირება და მიმართვა. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ეს ინფორმაციის შეგროვების პროცესიდან გამომდინარე საკვანძო და მნიშვნელოვანი საკითხების ინტუიტიური აღქმაა. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც განსაზღვრავთ, გამოვლენილი თემებიდან რომელია საკვანძო, შეგიძლიათ დაიწყოთ მუშაობა თქვენი ანალიზის სტრუქტურა-სა და ორგანიზაციაზე. მომდევნო ეტაპი - კონკრეტული რეკომენდაციები იქნება, გამომდინარე თქვენი ანალიზის ძირითადი დასკვნებიდან.

ანალიზის პროცესი ზოგადად შეიძლება შემდეგნაირად გამოიყურებოდეს.

1. მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი საკვანძო თემების განსაზღვრა.

2. ინფორმაციის დაჯგუფება შერჩეული თემების ირგვლივ

3. ანალიზის სტრუქტურის შემუშავება იმის ინტუიტიური გაცნობიერებით, თუ რა შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი მოპოვებული ინფორმაციიდან

4. თქვენი ანალიზის მთავარი მიმართულების განსაზღვრა, შეგროვებული ინფორმაციის ინტერპრეტირება

5. დასკვნა და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება

გენდერული ანალიზის უამრავი მეთოდი და ტექნოლოგია არსებობს. რომელიმე მათგანის გამოყენება დამოკიდებულია იმ მიზნებსა და ამოცანებზე, რომელთაც ვისახავთ. ამ ნაწილში საუბარი იქნება გენდერული ანალიზის ჩატარების ძირითად ეტაპებზე, რომელთა მიზანია გენდერული მიდგომის გამოვლენა პოლიტიკასა და ადგილობრივი თვითმმართველი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პროგრამებში.

3.1 გენდერული ანალიზის სწავლა

სქესი აღნიშნავს ადამიანის ბიოლოგიურ კუთვნილებას მდებრობითი ან მამრობითი სქესისადმი. სხვადასხვა სქესთან დაკავშირებულ ბიოლოგიურ განსხვავებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ორსულობა და ბავშვის გაჩენა, ან ფიზიოლოგიური განსხვავებანი.

გენდერი კულტურული მახასიათებლების სპეციფიკური ნაკრებია, რომელიც განსაზღვრავს ქალთა და მამაკაცთა სოციალურ ქცევას და მათ შორის ურთიერთობებს (განმარტება მოიცავს შესაბამისი სქესის ყველა ასაკობრივ კატეგორიას - ვრცელდება

¹¹ დამზარე სახელმძღვანელო გენდერული ანალიზის საკითხებში, კუინსლენდის მთავრობა, იხ. <http://www.women.qld.gov.au/resources/gender-analysis/documents/gender-analysis-toolkit.pdf>

ბიჭებზე, ყმანვილებზე, გოგონებზე, ხანდაზმულ ქალებსა და მამაკაცებზე). აღნიშნული მახასიათებლები შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა საზოგადოებასა თუ კულტურაში და შეიცვალოს დროსთან ერთად. გენდერი განსხვავდება ცნებისაგან „სქესი“ (Sex), რომელიც ასახავს ბიოლოგიურ სხვაობას მამაკაცსა და ქალს შორის, გააჩნია საყოველთაო ხასიათი და არ იცვლება.

გენდერული სამართლიანობა - არის ქალებისა და მამაკაცების მიმართ სამართლიანი დამოკიდებულება. სამართლიანობის უზრუნველყოფისათვის ხშირად საჭიროა სპეციალური ზომების მიღება, რათა მოხდეს ისტორიული და სოციალური დაუდევრობისა და იმ არასახარბიელო მდგომარეობის კომპენსაცია, რომელიც აფერხებს ქალებისა და მამაკაცების მიერ თანაბარი პოზიციების დაკავებას. სამართლიანობას თანასწორობისაკენ მივყავართ.

გენდერული თანასწორობა ნიშნავს ერთნაირ სტატუსს (მდგომარეობას) ქალებისა და მამაკაცებისათვის. აგრეთვე იმას, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი პირობები აქვთ ადამიანის უფლებების და პოტენციის სრულყოფილი რეალიზაციისათვის, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ ეროვნულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში და ისარგებლონ მისი შედეგებით.

38

თავდაპირველად ითვლებოდა, რომ თანასწორობა შეიძლება მიღწეულ იქნეს ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი (ერთნაირი) შესაძლებლობების მინიჭებით იმ იმედით, რომ ეს ერთნაირ შედეგს მოგვცემს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთი და იგივე დამოკიდებულება (მოპყრობა) ყოველთვის არ გვაძლევს თანაბარ შედეგებს.

სადღეისოდ თანასწორობის ცნება აღიარებს, რომ თანაბარი (ერთნაირი) შედეგების მისაღწევად საჭიროა სხვადასხვაგა-

რი დამოკიდებულება ქალებისა და მამაკაცების მიმართ. ამგვარად, გენდერული თანასწორობა - არის საზოგადოების მხრიდან თანაბარი შეფასება ორივე შემადგენლისა: მსგავსება და განსხვავება ქალებსა და მამაკაცებს შორის და განსხვავებული როლები, რომელთაც ისინი ასრულებენ.

გენდერული ანალიზი

ხშირად პოლიტიკური კურსის, პროგრამებისა და კანონმდებლობის გავლენა ქალებსა და მამაკაცებზე ბუნდოვნად გამოიხატება. პოლიტიკური კურსის გენდერული ანალიზის დროს გამოჩნდება ის გავლენა და ეფექტი, რომელსაც ახდენს ეს პოლიტიკა ქალებსა და მამაკაცებზე.

გენდერული ანალიზი - არის ქალებსა და მამაკაცებზე სხვადასხვაგვარი ზემოქმედების შეფასების პროცესი. ზემოქმედებისა, რომელსაც ახდენს შეთავაზებული ან არსებული პოლიტიკური კურსი, პროგრამა და კანონმდებლობა. გენდერული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, განვახორციელოთ პოლიტიკური კურსი, რომელიც ითვალისწინებს გენდერულ სხვაობას, ქალებსა და მამაკაცებს შორის ურთიერთობების ხასიათს, აგრეთვე მათ სპეციფიკურ სოციალურ რეალობას, სასიცოცხლო მოლოდინებს და ეკონომიკურ გარემოებებს.

ამის მეშვეობით შესაძლებელია, დავინახოთ და შევაღწეოთ, როგორ და რატომ მოქმედებს პოლიტიკური პრობლემები ქალებსა და მამაკაცებზე?

გენდერული ანალიზი ეჭვქვეშ აყენებს მტკიცებას, რომ ნებისმიერი ადამიანი, სქესის მიუხედავად, ერთნაირად განიცადის პოლიტიკური კურსის, პროგრამისა და კანონმდებლობის გავლენას. ასეთი წარმოდგენა ცნობილია, როგორც „გენდერულად ნეიტრალური პოლიტიკა“. ანალიზი არასრულია, თუ მასში პოლიტიკური კურსის გავლენის კუთხით არ არის განხილული ზემოქმედება ორივე სქესზე.

გენდერული ანალიზი მიმართულია გენდერული უთანასწორობისაკენ და გულისხმობს შემდეგ საკითხებს:

- აღიარება იმისა, რომ სხვადასხვა საკითხი სხვადასხვაგვარად მოქმედებს ქალებსა და მამაკაცებზე;
- აღიარება იმისა, რომ ქალისა და მამაკაცის ცხოვრებაში განსხვავება გულისხმობს ქალთა საჭიროებების განსხვავებულობას მამაკაცთა საჭიროებებისაგან;
- ქალთა სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენა და არსებული პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შესაძლო გავლენა მათზე;
- სწრაფვა იმისკენ, რომ გათვალისწინებულ იქნეს ქალთა ინტერესები სახელმწიფო პოლიტიკასა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პროგრამებში;
- იმ ფაქტის აღიარება, რომ არსებული პოლიტიკა თუ სახელმწიფო პროგრამა სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს ქალებსა და მამაკაცებზე;
- ქალთა და გოგონათა სამართლიანი ჩართვის ხელშეწყობა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც შემდგომში სასიკეთოდ იმოქმედებს მთელ საზოგადოებაზე;
- გენდერული განსხვავებულობის შესახებ უფრო ინფორმირებული, სამართლიანი და ეფექტური გამოხმაურების ხელშეწყობა.

3.2. როგორ ჩავატაროთ გენდერული ანალიზი

გენდერული ანალიზის ჩატარება გულისხმობს ისეთი საკითხების გამოვლენასა და შესწავლას, როგორებიცაა, მაგალითისათვის, არსებული პოლიტიკისა თუ პროგრამების გავლენა ქალებსა და მამაკაცებზე. გენდერული ანალიზის განხორციელების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს გენდერული მიდგომის

გათვალისწინებით და შედეგებიც, შესაბამისად, უნდა ასახავდეს ქალთა საჭიროებებსა და პრობლემებს.

ამ სექციაში გთავაზობთ გენდერული ანალიზის განხორციელების **შვიდ ძირითად ეტაპს**.

პირველი ეტაპი - პრობლემის გამოვლენა

ადგილობრივი ხელისუფლების გარკვეული პოლიტიკური კურსისა თუ პროგრამის ანალიზი იწყება კონკრეტული პრობლემის გამოვლენით. ეს ეტაპი გულისხმობს პრობლემის არსის, ხასიათისა და მნიშვნელობის განსაზღვრას, რისთვისაც აუცილებელია პასუხის გაცემა შემდეგ შეკითხვებზე:

- ✓ რა არის პრობლემის არსი?
- ✓ კონკრეტულად ვინ სვამს საკითხს აღნიშნული პრობლემის არსებობის თაობაზე?
- ✓ ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამებსა და პოლიტიკაში არსებული რომელი კონკრეტული საკითხები ახდენენ გავლენას ქალებზე? და როგორ მოქმედებენ ისინი?
- ✓ რატომ იქცა ეს პრობლემად და როგორია მისი ძირითადი მიზეზები?

მეორე ეტაპი - მონაცემთა შეგროვება

ინფორმაციის შეგროვებისას მეტად მნიშვნელოვანია ზრუნვა იმაზე, რომ თქვენ მიერ შეგროვილმა მონაცემებმა გაგიადვილონ გენდერულ მიდგომაზე დაფუძნებული ანალიზის ჩატარება. ამიტომაც პროცესისათვის მომზადების დროს წინასწარ გაცანით გენდერთან დაკავშირებულ თქვენთვის ხელმისაწვდომ ყველა დოკუმენტს, საერთაშორისო დოკუმენტების, საპარლამენტო მასალების, ბროშურებისა და ქალთა

ორგანიზაციების პუბლიკაციების ჩათვლით. ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- ✓ გაქვთ თუ არა საკითხთან დაკავშირებული დიფერენცირებული მონაცემები (ანუ ცალკეული მონაცემები ქალებისა და მამაკაცების შესახებ);
- ✓ გაქვთ თუ არა როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მონაცემები?
- ✓ ინფორმაციის შეგროვებისას ითვალისწინებდით თუ არა ფაქტორებს, რომლებიც სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს ქალებისა და მამაკაცების მიმართ. მაგალითად, განსხვავება შემოსავალში, განათლებაში; ძალადობის სხვადასხვა ხარისხი ქალისა და მამაკაცის ცხოვრებაში და ა.შ.
- ✓ აგროვებდით თუ არა ინფორმაციას გენდერის საკითხში გამოცდილებისა და ცოდნის მქონე ადამიანებთან?

მესამე ეტაპი - სასურველი / მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა

- ✓ რა შედეგების მიღწევას ესწრაფვის ადგილობრივი ხელისუფლება მოცემული პროგრამისა თუ პოლიტიკის საშუალებით?
- ✓ მოცემული პოლიტიკა / პროგრამა როგორ გავლენას მოახდენს ქალთა ჩართვაზე სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში?
- ✓ რაიმე ნეგატიური შედეგი ხომ არ არის მოსალოდნელი ქალებისათვის მოცემული პროგრამისა თუ პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში?
- ✓ მიმართულია თუ არა არსებული პოლიტიკა ან პროგრამა გენდერული თანასწორობის მხარდაჭერისაკენ?

მეოთხე ეტაპი - დაგეგმვა

- ✓ რა სახით იყვნენ ჩართული ქალები ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამისა თუ პოლიტიკის შემუშავებაში?
- ✓ გენდერულად რამდენად მგრძობიარეა დასახული მიზნები?
- ✓ ქალთა მონაწილეობა რამდენად უწყობს ხელს გენდერული მიდგომის გათვალისწინებას ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამისა თუ პოლიტიკის პრიორიტეტების შემუშავების პროცესში?

მეხუთე ეტაპი - განხორციელება

- ✓ მიმართულია თუ არა ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამისა თუ პოლიტიკის განხორციელება ქალებისა და მამაკაცებისკენ (აქ იგულისხმება ხანდაზმულები, ახალგაზრდობა, ბავშვები და ა. შ.)
- ✓ არსებობს თუ არა იმ პროგრამის განხორციელების სპეციალური სტრატეგია, რომელიც ქალთა საჭიროებებს გაითვალისწინებდა?
- ✓ არსებობს თუ არა დადებითი მაგალითები ამ კუთხით?

მეექვსე ეტაპი - რეკომენდაციები

მოცემულ ეტაპზე, მიღებული შედეგების გათვალისწინებით ანალიზის მომზადებისას შემუშავდება კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია არადისკრიმინაციული და გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკისა და პრაქტიკის უზრუნველყოფისაკენ თვითმმართველობის საქმიანობაში. რეკომენდაციების შემუშავებისას მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებებისა და წინა-

დადებების გამოყენება მთელი თავისი მრავალფეროვნებით (ქალები, მამაკაცები, ხანდაზმულები, ინვალიდები, ახალგაზრდები, ბავშვები და ა. შ.)

მეშვიდე ეტაპი - შეთავაზებული რეკომენდაციების განხორციელება სამოქმედო გეგმის შემუშავებით ¹²

გენდერული ანალიზის დამამთავრებელ სტადიაზე უმჯობესია, შემუშავდეს კონკრეტული სამოქმედო გეგმა შეთავაზებული რეკომენდაციების განხორციელებისათვის. სამოქმედო გეგმა მიმართული უნდა იყოს გენდერული ანალიზის პროცესში გამოვლენილი ყველა ნაკლოვანებისაკენ. სამოქმედო გეგმა შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- სპეციფიკური ქმედებები
- ვინ არის პასუხისმგებელი კონკრეტულ ქმედებებზე
- ბიუჯეტი
- საჭირო ადამიანური რესურსები
- დროის ჩარჩოები კონკრეტული ქმედებების განხორციელებისათვის.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ მაგალითი, როგორი შეიძლება იყოს კონკრეტული რეკომენდაციის განხორციელების სამოქმედო გეგმა.

¹² სახელმძღვანელო გენდერული ანალიზის საკითხებში: ადამიანის უფლებები გენდერული პერსპექტივით, ოპერატიული ჯგუფი CEDAW-ის საკითხებზე სან-ფრანცისკოში / კომისია ქალის სტატუსის საკითხებზე, ივლისი, 2000 წ. იხ. http://www.twca.ca/TWCA-publications/uploads/SF_gender_and_HR_guidelines.pdf

მაგალითი:

რეკომენდაცია	ქალაქ X-ში მცხოვრებ ქალთა და გოგონათა ცოდნის ამაღლება რეპროდუქტიულ საკითხებში
კონკრეტული ქმედებები	<ol style="list-style-type: none"> 1. ღია კარის დღის მოწყობა სამედიცინო დანესებულებებში გინეკოლოგთან უფასო კონსულტაციისათვის 2. ქალებისა და გოგონებისათვის ტრენინგის ორგანიზება და ჩატარება 3. სკოლებსა და საბავშვო ბაღებში გინეკოლოგის ვიზიტის დანერგვა - ბავშვებისათვის ადაპტირებული მეთოდით რეპროდუქტიული საკითხების სწავლების მიზნით
ვინ არის პასუხისმგებელი	აღნიშნული ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელების კოორდინაცია დაევალოს შესაბამის პირს ადგილობრივი ხელისუფლებიდან - 1 ადამიანი - 6 საათი კვირაში
ბიუჯეტი	10 000 ლარი
საჭირო ადამიანური რესურსები	3 გინეკოლოგი, სკოლებისა და საბავშვო ბაღების დირექტორები
დროის ჩარჩოები	3 თვე

3.3. პრაქტიკული სავარჯიშოები

სავარჯიშო 1.

პრობლემების, მიზეზებისა და მათი გადაჭრის გზების გამოვლენა¹³

მოცემული სავარჯიშოს მიზანია, საფუძვლიანად გაირკვეს პრობლემები, რომლებზე ზემოქმედებაც გასურთ მომავალში. ეს ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკის მონიტორინგის განხორციელების საწყისი ეტაპიცაა. არსებული პრობლემების მიზეზებისა და გადაჭრის შესაძლო გზების შესწავლა დაგეხმარებათ, გადანყვიტოთ, რა საკითხებს უნდა მიაქციოთ ყურადღება მონიტორინგის დროს. სავარჯიშოში გამოიყენება ორი მეთოდი: *პრობლემების ხე და მოგვარების ხე*.

მეთოდი 1- პრობლემების ხე

მიზანი: გაღრმავდეს პრობლემის არსში ჩანვდომა მოცემული პრობლემების წარმოშობის მიზეზების გამოვლენის გზით

კონტექსტი: სავარჯიშო გამოიყენება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფებში სამუშაოდ და კარგი საშუალებაა დისკუსიების წარმართვისათვის. ის განსაკუთრებით სასარგებლოა, როცა საჭიროა არსებული პრობლემების ზოგიერთი ხანგრძლივი მიზეზის გამოვლენა.

46

როგორ გამოიყენოთ მეთოდი:

ნაბიჯი 1: თეთრ ქაღალდზე დახატეთ ხის ტანი. ის ამ შემთხვევაში წარმოადგენს პრობლემას, რომელსაც იკვლევთ.

¹³ მთავრობის პოლიტიკური კურსის მონიტორინგი, დამხმარე სახელმძღვანელო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის აფრიკაში, იხ. <http://cdg.lathyrus.co.uk/docs/MonitorGovPol.pdf>

ნაბიჯი 2: ხეს დაუმატეთ ფესვები, რომლებიც თქვენ მიერ საკვლევი პრობლემის ძირეულ მიზეზებს წარმოადგენს. ზედაპირთან ახლოს მყოფი ფესვები უფრო აშკარა და თვალნათელი მიზეზებია, რომლებიც ხელს უწყობს პრობლემის არსებობას, ხოლო ნიადაგის სიღრმეში განლაგებული ფესვები პრობლემის უფრო ძირეული, ღრმა მიზეზებია.

ნაბიჯი 3: ხის ტოტები პრობლემის შედეგებს წარმოადგენს. უშუალოდ ტანიდან წამოზრდილი ტოტები პრობლემის პირდაპირი შედეგებია, ხოლო განშტოებები - ირიბი შედეგები.

მეთოდი 2 - მოგვარების ხე

მიზანი: პრობლემის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოგვარების გზების პოვნა.

კონტექსტი: მოცემული მეთოდი შეიძლება გამოიყენოთ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებში სამუშაოდ, ამ სავარჯიშოს დაწყებისთვის თქვენ უნდა გქონდეთ პრობლემების ხე.

როგორ გამოიყენოთ მეთოდი:

ნაბიჯი 1: თეთრ ქალაღზე დახატეთ ხის ტანი. ის წარმოადგენს პრობლემის გადაჭრას ან იმ სასურველ შედეგს, რომლის დანახვაც გსურთ სამომავლოდ მოცემულ სიტუაციაში.

ნაბიჯი 2: ხეს დაუმატეთ ფესვები, რომლებიც წარმოადგენს სასურველი შედეგის მიღწევის მეთოდებს. როგორც წესი, გადაჭრის მეთოდები მიმართული უნდა იყოს იმ მიზეზებისაკენ, რომლებიც წარმოდგენილი იყო წინა სავარჯიშოში - პრობლემების ხე.

ნაბიჯი 3: ხის ტოტები ის კონკრეტული შედეგებია, რომლებიც სიტუაციის გაუმჯობესებასა და პრობლემის მოგვარებას მოსდევს.

სავარჯიშო 2.

გენდერული სტერეოტიპები, ღირებულებები და პრაქტიკა

მოცემული სავარჯიშოს მეშვეობით გავაანალიზებთ, როგორ უკვდავყოფს საზოგადოება გარკვეულ გენდერულ სტერეოტიპებს და პრაქტიკას, რასაც გენდერული დისკრიმინაციისაკენ მივყავართ. დაგვეხმარება, ვიპოვოთ გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის მიღწევას.

გენდერული სტერეოტიპების, ღირებულებების, პრაქტიკის გამოვლენით მეტი ინფორმაციის მიღება შეიძლება გენდერული ანალიზის განხორციელებისათვის საჭირო ფაქტორების შესახებ.

სავარჯიშო შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს მათთვისაც, ვინც უშუალოდ მონაწილეობს პოლიტიკური კურსისა და სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაში ან ახორციელებს გენდერულ ანალიზს.

სანამ სავარჯიშოს დაიწყებდეთ, დასვით შეკითხვა: *რა გავლენას ახდენენ სტერეოტიპები და გენდერული ღირებულებები (პირადი თუ საზოგადოებაში არსებული) ადამიანურ ცნობიერებაზე და როგორ ზღუდავენ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შემუშავებული ან შეთავაზებული პროგრამების შესაძლო ვარიანტების მოცულობას?*


48

ქვემოთ ნარმოდგენილი დიაგრამა იძლევა იმ დამკვიდრებულ ღირებულებებისა და გენდერული სტერეოტიპების ილუსტრაციას, რომლებიც უკვდავყოფილია გარკვეული ინსტიტუტებისა თუ მთლიანად საზოგადოების მიერ, რაც მოქმედებს ცხოვრების ყოველდღიურობაზე და ადამიანთა ქცევის სისტემაზე.


მაგალითი

პრაქტიკა, რომელიც ასახავს საზოგადოების გენდერულ სტერეოტიპებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებას.


„გოგონები სუსტები არიან, გიჟები - ძლიერები“



პრაქტიკა (შედეგი) პროფესიების დაყოფა „ქალურად“ და „მამაკაცურად“. მაგალითისათვის, მამაკაცთა დომინანტობა სახელისუფლებო სტრუქტურებში, გამოყენებით და ტექნიკურ სფეროებში. ქალები - განათლებაში, ბავშვებზე ზრუნვასთან დაკავშირებულ დანესებულებებში.



ინსტიტუტები, რომლებიც ამყარებენ ამ პრაქტიკას: საგანმანათლებლო დანესებულებები, სანარმოები და თვით საზოგადოება, რომელიც განამტკიცებს ამ მოსაზრებას და წახალისებს ქალიშვილებსა და ახალგაზრდა მამაკაცებს, რომ მათ სხვადასხვა კარიერულ გზაზე აიღონ ორიენტაცია.



გენდერული ღირებულებები და საზოგადოების დამოკიდებულება: ქალებსა და მამაკაცებს გააჩნიათ სრულიად სხვადასხვა მიდრეკილება, გონება, ჩვეულება და ხასიათი. შედეგად - ქალებსა და მამაკაცებს შეუძლიათ დაიკავონ გარკვეული, ერთმანეთისაგან განსხვავებული, მხოლოდ მათთვის შესაფერისი თანამდებობები.

ჯგუფებში გენდერული სავარჯიშოების ჩატარებისას, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მოყვანილი ზოგიერთი გენდერული სტერეოტიპი და ამ ნაწილში მოყვანილი მაგალითების საფუძველზე შეავსოთ დიაგრამა.

გენდერული სტერეოტიპები:

- ქალის დანიშულებაა - იყოს დედა და ცოლი;
- ქალები მამაკაცებზე სულელები არიან, ანუ „ყველა ქალი შტერია“;
- ქალს არ შეუძლია იყოს ხელმძღვანელი;
- ყველა ქალს უნდა ერთი რამ - გათხოვება;
- ჭკვიან ქალს პირად ცხოვრებაში არ შეუძლია იყოს ბედნიერი;
- ქალს არ უნდა ჰქონდეს სხვა მამაკაცებთან ურთიერთობის გამოცდილება, მამაკაცს კი ცოლის მოყვანამდე აუცილებლად უნდა ჰქონდეს კავშირი სხვა ქალებთან;
- მამაკაცები არ ტირიან;
- მამაკაცები ქალებზე ჭკვიანები არიან;
- ყველა მამაკაცი ლალატობს ცოლს;
- მამაკაცები უნდა იყვნენ ხელმძღვანელები;
- მამაკაცებს უფლება აქვთ, აკეთონ ის, რისი უფლებაც ქალებს არა აქვთ და მისთ.

სავარჯიშო 3.

გენდერული მიდგომა პოლიტიკის შემუშავებაში

მოცემული სავარჯიშო დაგვეხმარება, გავიაზროთ იმ პოლიტიკის, პროგრამის ან ნებისმიერი ინიციატივის ხასიათი, რომელსაც ახორციელებს ან რის განხორციელებას გეგმავს ადგილობრივი ხელისუფლება.

ზოგიერთ შემთხვევაში გენდერთან დაკავშირებული სა-

კითხები განმსაზღვრელ როლს ასრულებს პოლიტიკისა თუ პროგრამის ევოლუციასა და განვითარებაში. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ზოგიერთი პროგრამა დაცლილია გენდერული მნიშვნელობისაგან და გენდერზე გავლენა არ გააჩნია. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ სანყის სტადიაზე არ შეიმჩნევა გარკვეული პოლიტიკისა თუ პროგრამის გავლენა გენდერზე, ის შეიძლება მოგვიანებით გაჩნდეს.

ამ სავარჯიშოს ამოცანაა, მოყვანილი ინიციატივებიდან ამოარჩიოთ ორი და ჩამოთვალოთ, თქვენი აზრით, რომელი საკითხები უკავშირდება გენდერს და რა შეიძლება ჩართოთ ამ საკითხის ირგვლივ პოლიტიკისა თუ პროგრამის შემუშავებაში.

- ❖ ფულადი დახმარება (მაგალითად, ასაკის პენსია ან შემნობა ინვალიდის მოვლისათვის)
- ❖ უსახლკარობა
- ❖ უმუშევრობა
- ❖ გზების რემონტი

სავარაუდო პასუხები

ქვემოთ მოყვანილია ის სავარაუდო პასუხები, რომლებიც შეიძლება მიეკუთვნოს პოლიტიკის ჩამოთვლილ სფეროებს გენდერული მიდგომის გათვალისწინებით. საკითხთა ნუსხა სრული არ არის, მაგრამ ის თვალნათლივ დაგანახებთ ზოგიერთ ფაქტს, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ პოლიტიკისა თუ პროგრამის შემუშავების დროს.

ფულადი დახმარება

ქალები შეადგენენ ასაკის მიხედვით პენსიონერთა უმრავლესობას. ეს განპირობებულია იმით, რომ ქალები მამაკაცებზე მეტხანს ცხოვრობენ (საქართველოს ოფიციალური სტატისტიკა იხ. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=163&lang=geo), აგრეთვე იმით, რომ ქალები უფრო ადრე გადიან პენსიაზე, ვიდრე მამაკაცები. ხანდაზმული ინვალიდებისა და მოხუცი მშობლების მომვლელთა შორისაც უმეტესობა ქალია.

მოქალაქეებისათვის ფულადი დახმარების უზრუნველყოფისა და თანხის კალკულაციის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებისას ძალზე მნიშვნელოვანია ქალებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინება. მაგალითად:

- ქალებს ნაკლები პენსია აქვთ უფრო ნაკლები შემოსავლის ან შეწყვეტილი სამუშაო საქმიანობის მიზეზით;
- არა აქვთ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები;
- როგორც წესი, ქალები მარჩენალის სიკვდილის შემდეგ ფინანსურად მონყვლადები და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოუმზადებელნი არიან;
- აქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დამატებითი ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემები ოჯახის ავადმყოფ წევრებზე ზრუნვის პასუხისმგებლობის გამო.

უსახლკარობა / საცხოვრებლის არქონა

უსახლკარობის საკითხის მოგვარებისაკენ მიმართული სტრატეგიის შემუშავების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ქალები შეიძლება უსახლკაროდ დარჩნენ მამაკაცებისაგან სრულიად განსხვავებული მიზეზების გამო და შეუძლიათ, ეძიონ სრულიად სხვა სახის დახმარება, ვიდრე მამაკაცებმა.

ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია, რის გამოც ქალები საცხოვრებლის გარეშე შეიძლება აღმოჩნდნენ. ოჯახური ძალადობის უმეტეს შემთხვევაში მამაკაცი მოძალადეა, ხოლო ქალები არჩევანის წინაშე დგებიან - ან ძალადობის ატმოსფეროში დარჩენა, ან უსახლკარობა. უმეტესობა გადანყვეტს, გაერიდოს ძალადობას და ბავშვებით ხელში მარტო რჩება. ქალები ეძებენ ღამის გასათევს კრიზისულ ცენტრებში და იშვიათად ათევენ ღამეს ქუჩაში.

რადგანაც სწორედ ოჯახური ძალადობა წარმოადგენს ძირითად მიზეზს, რის გამოც ქალები და ბავშვები შეიძლება ჭერის გარეშე დარჩნენ, მეტად მნიშვნელოვანია უსახლკარობის პრობლემაზე რეაგირებისას ზემოთ აღნიშნული სპეციფიკის გათვალისწინება.

უშუშვერობა

უშუშვერობის დაძლევის ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ სპეციფიკური ფაქტორი, რის გამოც ქალთა შორის უშუშვერობის დონე მაღალია.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ოჯახური მოვალეობების არაპროპორციული განაწილება. ქალები პასუხს აგებენ ბავშვების გაჩენაზე, მოვლასა და აღზრდაზე, ოჯახის მომსახურებაზე, რაც ქალის აუნაზღაურებელი შრომაა და დროის მეტწილს მოითხოვს.

შრომის ბაზარზე არსებობს „ფარული დისკრიმინაცია“ ფეხმძიმე ქალების, მცირეწლოვან ბავშვთა დედეებისა და 45 წელზე მეტი ასაკის ქალების მიმართ, რომელთა მიღება არ სურთ სამუშაოზე. სწორედ მათ ათავისუფლებენ პირველებს შტატების შემცირების დროს.

განსაკუთრებით გამოხატულია ნეგატიური შედეგი - უშუშვეარ ქალთა პროფესიული კვალიფიკაციის შეუსაბამობა არსებული ვაკანსიების მოთხოვნებთან. კომპიუტერის, უცხო ენების, მანქანის მართვის არცოდნა. არის შემთხვევები, როცა თავად სამუშაოთა მომწოდებლები ასახელებენ თანამშრომლის სასურველ სქესს, იმ თანამდებობებზეც კი, სადაც სამუშაოს სპეციფიკით ეს გამართლებული არ არის.

მიზეზთა ნუსხა სრულიადაც არ ამოწურულა. მოვიყვანეთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტორი, რომელიც აფერხებს ქალთა წინსვლას, რათა მათ ღირსეული ადგილი დაიკავონ შრომის ბაზარზე. ამიტომაც უშუშვერობის დაძლევის პოლიტიკის შემუშავებისას სათანადო ქმედებებია გასატარებელი ზემოთ აღნიშნული მიზეზების გადასაჭრელად.

გზების რემონტი

გზების რემონტისა და კეთილმოწყობის პროგრამის შემუშავებისას მეტად მნიშვნელოვანია იმ პრობლემების გათვალისწინება, რომლებთანაც ქალებს აქვთ შეხება.

ცნობილია, რომ, როგორც წესი, ბავშვების მოვლაზე ქალები არიან პასუხისმგებელნი. ისინი ასეირნებენ ბავშვებს, დადიან მაღაზიაში, საბავშვო ბაღში და ა. შ.

ქალაქის ქუჩები არ არის სათანადოდ მოწყობილი დედეებისა და ეტლში მოთავსებული ბავშვების გადაადგილებისათვის. პრაქტიკულად არც ერთ გადასასვლელზე ან მაღალბორდიურიან ტროტუარზე არ არის დაყენებული პანდუსები (დაქანებული სიბრტყე კიბის მაგივრად) ეტლებისათვის. ეტლი ხელითაა ასანევე-ჩამოსანევი. ქალებისათვის კი, განსაკუთრებით მშობიარობის შემდეგ, ასეთი ვარჯიშები რეკომენდებული არ არის. ქალაქის ქუჩებში ძალიან ცოტაა გადასასვლელი ფეხით მოსიარულეთათვის. ხშირად მოუგვარებელია შუქნიშნის მუშაობა. ქალაქებში, სადაც უამრავი მანქანა მოძრაობს, ცოტაა პარკირების ადგილი, ამიტომ მძღოლები პირდაპირ ტროტუარებზე აყენებენ მანქანებს და გზას უკეტავენ დედეებსა და შვილებს.

სავარჯიშო 4.

გენდერული ანალიზის სტრუქტურის გამოყენება

მოცემული სავარჯიშო დაგეხმარებათ, უკეთ გაიგოთ და გამოიყენოთ გენდერული ანალიზის სტრუქტურა.

პირველი ეტაპი - პრობლემის გამოვლენა

მეორე ეტაპი - მონაცემთა შეგროვება

მესამე ეტაპი - სასურველი/მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა

მეოთხე ეტაპი - დაგეგმვა

მეხუთე ეტაპი - განხორციელება

მეექვსე ეტაპი - რეკომენდაციები

მეშვიდე ეტაპი - შეთავაზებული რეკომენდაციების განხორციელება სამოქმედო გეგმის შემუშავებით

ამოცანა: იფიქრეთ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ რომელი პროგრამა განახორციელა წარსულში ან ახორციელებს ამჟამად. ამ სავარჯიშოს მიზანია, დაგეხმაროთ გენდერულ ანალიზში, ანუ გამოავლინოთ და შეაფასოთ ქალებსა და მამაკაცებზე ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამების გავლენა და შეიმუშაოთ კონკრეტული რეკომენდაციები, რათა თავიდან აიცილოთ ქალთა მიმართ უთანასწორობა და უსამართლობა.

56

პროგრამის დასახელება

პროგრამის მოკლე აღწერა

პირველი ეტაპი - პრობლემის გამოვლენა

ეს ეტაპი საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები და გაირკვეს მისი გავლენა ქალებზე.

ამოცანა 1: მოცემული პროგრამა როგორ გავლენას ახდენს მოსახლეობაზე? რომელი გენდერული საკითხები შეიძლება ამოვტივტივდეს მისი განხორციელების დროს?

ამოცანა 2: მოცემულ პროგრამაში გამოვლენილი პრობლემები კონკრეტულად მოქმედებენ თუ არა ქალებზე ან მამაკაცებზე? თუ კი, მაშინ ქალთა (ან მამაკაცთა) რომელ ჯგუფზე მოქმედებენ და როგორ?

შენიშვნა

ზოგიერთ პროგრამაში გენდერული საკითხები აშკარაა, ზოგიერთში კი შეიძლება არააქტუალურად მოგვეჩვენოს. მოცემული საგარეოშოს შესრულებისას გახსოვდეთ, რომ არც ერთი საკითხი არ შეიძლება იყოს გენდერულად ნეიტრალური!

მეორე ეტაპი - მონაცემთა შეგროვება

ამ ეტაპზე ეცადეთ, შეამოწმოთ, რა არის ცნობილი ამ საკითხის გენდერული ხასიათის შესახებ და შეაგროვოთ ყველა შესაძლო და საქმესთან დაკავშირებული მონაცემი.

მოცემული შეკითხვების დახმარებით შეაფასებთ, რა ინფორმაცია ან რა მონაცემები გაგაჩნიათ:

1. გაქვთ თუ არა გენდერული პრინციპით დაყოფილი კონკრეტული მონაცემები?

კი არა

2. როგორი მონაცემები გაქვთ?

რაოდენობრივი თვისობრივი

3. თქვენს ხელთ არსებული მონაცემების წყაროები

ექსპერტთა აზრი მოსახლეობა

ქალები სტატისტიკური მონაცემები

სხვადასხვა კვლევის მასალები საერთაშორისო გამოცდილება

სხვა_____ (განმარტეთ)

მესამე ეტაპი - სასურველი / მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა

გამოიყენეთ მოცემული ეტაპი კონკრეტული პროგრამის განხორციელების სასურველი შედეგების განსაზღვრისათვის. დარწმუნდით, რომ შედეგები სასარგებლო იქნება როგორც ქალების, ასევე მამაკაცებისათვის.

ამოცანა 1: რისი მიღწევა სურს ადგილობრივ ხელისუფლებას პროგრამის განხორციელებისას?

ამოცანა 2: გენდერულად რამდენად მგრძობიარეა ეს შედეგები? აღწერეთ.

ამოცანა 3: ხომ არ გამოიწვევს მოცემული პროგრამისა თუ პოლიტიკის განხორციელება ნეგატიურ შედეგებს ქალებისათვის?

ამოცანა 4: როგორ შეიძლება იმოქმედოს მოცემულმა პროგრამამ ქალთა ჩართვაზე სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში?

მეოთხე ეტაპი - დაგეგმვა

ეს ეტაპი დაგეხმარებათ, გაარკვიოთ, რამდენად იყვნენ ჩართულნი მოცემული პროგრამის შემუშავებაში საზოგადოების (მათ შორის ქალები და მამაკაცები) წარმომადგენლები და როგორ შეუწყო ამან ხელი შემუშავებული პროგრამის გენდერულ ხასიათს.

ამოცანა 1: იყვნენ თუ არა ჩართულნი ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამის შემუშავებაში მდედრობითი სქესის წარმომადგენლები?

კი არა

ამოცანა 2: რამდენად შეუწყო ხელი ქალთა მონაწილეობამ ან იმან, რომ ისინი არ მონაწილეობდნენ, გენდერული მიდგომების ჩართვას ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამის პრიორიტეტების შემუშავების პროცესში? აღწერეთ:

მეხუთე ეტაპი - განხორციელება

სავარჯიშოს ამ ნაწილში თქვენ უნდა აღწეროთ, ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამის განხორციელება როგორ შეუწყობს ხელს მოსალოდნელი შედეგების მიღწევას და გათვალისწინებულია თუ არა გენდერული მიდგომები განხორციელების პროცესში.

ამოცანა 1: არსებობს თუ არა პროგრამის განხორციელების სპეციალური სტრატეგია, რომელიც გაითვალისწინებდა ქალთა საჭიროებებს?

ამოცანა 2: მოიყვანეთ მაგალითები (თუკი გააჩნიათ).

მეექვსე ეტაპი - რეკომენდაციები

მოცემულ ეტაპზე შეიმუშავეთ კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია თქვენი ანალიზის მიმდინარეობისას გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებისაკენ. ეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში გენდერული მიდგომების ჩართვის შესაძლებლობას მოგცემთ. რეკომენდაციების შემუშავებისას ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოების წარმომადგენლების (მთელი თავისი მრავალფეროვნებით - ქალები, მამაკაცები, ხანდაზმულები, ინვალიდები, ახალგაზრდობა, ბავშვები და ა. შ.) მოსაზრებებისა და წინადადებების გამოყენება.

- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____



გეგვიდე ეტაპი - შეთავაზებული რეკომენდაციების განხორციელება სამოქმედო გეგმის შემუშავებით

შეიმუშავეთ მოქმედების დეტალური გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს თქვენი რეკომენდაციების განხორციელებას. ამ ეტაპზე თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

რეკომენდაცია	
კონკრეტული ქმედებები	
ვინ არის პასუხისმგებელი	
ბიუჯეტი	
საჭირო ადამიანური რესურსები	
დროის ჩარჩოები	

1. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, 2006
2. ვავილინა ვ. ვ., სამოქალაქო საზოგადოება და სამოქალაქო ექსპერტიზა - როსტოვი დონზე, 2010, „სამოქალაქო კონტროლი“
3. მონიტორინგი და შეფასება, ჯანეტ შაპირო, CIVICUS, (მსოფლიო ალიანსი სამოქალაქო მონაწილეობისათვის), იხ. <http://www.civics.org/new/media/Monitoring%20and%20Evaluation.pdf>
4. მასალა ვიკიპედიიდან - თავისუფალი ენციკლოპედიიდან, იხ. <http://ru.wikipedia.org/wiki/D0%9C%D0%BE%D0%BD%D0%B8%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B8%D0%BD%D0%B3>
5. ერთიანი და შერჩევითი კვლევა, იხ. <http://www.sociomethod.ru/875/330.html>
6. საკუთარი ბიზნესი, „ტრიანგულაცია“, იხ. <http://www.nejo.ru/triangulyaciya.html>
7. დამხმარე სახელმძღვანელო გენდერული ანალიზის საკითხებში, კუინსლენდის მთავრობა, იხ. <http://www.women.qld.gov.au/resources/gender-analysis/documents/gender-analysis-toolkit.pdf>
8. სახელმძღვანელო გენდერული ანალიზის საკითხებში: ადამიანის უფლებები გენდერული პერსპექტივით, ოპერატიული ჯგუფი CEDAW-ის საკითხებზე სან-ფრანცისკოში / კომისია ქალის სტატუსის საკითხებზე, ივლისი, 2000 წ. იხ. http://www.twca.ca/TWCA-publications/uploads/SF_gender_and_HR_guidelines.pdf
9. მთავრობის პოლიტიკური კურსის მონიტორინგი, დამხმარე სახელმძღვანელო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის აფრიკაში, იხ. <http://cdg.lathyrus.co.uk/docs/MonitorGovPol.pdf>



გამოცემაზე მუშაობდნენ:

ალლა გამახარია (პროექტის დირექტორი)

მერი გელაშვილი (პროექტის კოორდინატორი)

ლალი შენგელია (რედაქტორი)

ემა კამკია, ლალი შენგელია (თარგმანი რუსულიდან)

ლია კოსტაპა (დიზაინი)



მისამართი: ქუთაისი, მაგლობლიშვილის ქ. №6

ტელ.: (+995 31) 7 29 02

ფაქსი: (+995 31) 7 13 68

ელ. ფოსტა: woman@fundsokhumi.ge

ვებ. გვერდი: www.fundsokhumi.ge



დაიბეჭდა შპს „მბმ-პოლიგრაფში“

ქუთაისი, ნერეთლის 186

